



# სკოლის გაზეთი

## ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის ვიზიტი „ევროპულ სკოლაში“

31 მარტს ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30 წლის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, უმასპინძლა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კელი დეგნანს და კულტურისა და განათლების საკითხების ატაშეს კრისტოფერ ანდერსონს.

ღონისძიებზე მოსწავლეებმა წარადგინეს აშშ-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილ გაზეთში მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიები, ისაუბრეს ქართველი და ამერიკელი ხალხის საერთო ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე, რაც თავისუფლებისა და მშვიდობის გასაღებია.

გამომსვლელებმა შეადარეს ორი ქვეყნის განათლების სისტემა, ხაზი გაუსვეს სხვადასხვა სფეროში აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, დამსწრეებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები ამერიკის შესახებ.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ის საელჩოს გაცვლითი პროგრამების ყოფილი მონაწილეები: „ევროპული სკოლის“ დირექტორი სოფიო ბაზაძე, ამერიკული უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი ირმა ბარბაქაძე, მოსწავლეთა საზოგადოებრივი ჩართულობის კოორდინატორი მარიამ ხატიაშვილი. მათ ისაუბრეს აშშ-ში შეძენილი გამოცდილების მნიშვნელობაზე, მის გამოყენებაზე „ევროპული სკოლისა“ თუ ამერიკული უმაღლესი სკოლის განვითარების, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების გამდიდრების კუთხით.

პრეზენტაციების შემდეგ კელი დეგნანმა დაათვალიერა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა აშშ-საქართველოს ურთიერთობას. დასასრულს საპატიო სტუმარმა უპასუხა ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლის შეკითხვებს.





## „ევროპულ სკოლას“ და „ლე როშეს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა

6 მაისს „ევროპულ სკოლას“ და ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში მსოფლიოს წამყვან ინსტიტუცია „ლე როშეს“-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მხარეების უნიკალური თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო ბაკალავრიატის კარიერულ პროგრამაზე დაინერგება მასპინძლობის კურსი. მემორანდუმს „ევროპული სკოლის“ დირექტორმა სოფიო ბაზაძემ და „ლე როშე“-ს აღმასრულებელმა დირექტორმა კარლოს დიეზ დე ლა ლასტრამ მოაწერეს ხელი.

2022 წლის სექტემბრიდან „ევროპული სკოლა“ საერთაშორისო ბაკალავრიატის კარიერული პროგრამის (IB CP) მოსწავლეთა პირველ ნაკადს უკვე შესთავაზებს პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას მასპინძლობის დარგში. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული კვალიფიკაციებით მოსწავლეებისთვის იხსნება პირდაპირი გზა საუკეთესო უმაღლესი განათლების მისაღებად აღნიშნული კარიერული მიმართულებით. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა სევილიის ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ესპანური კულტურის ზეიმი მოუწყვეს სტუმრებს. კარლოს დიეზ დე ლა ლასტრამ აღნიშნა: „აი, ეს არის მასპინძლობის ხელოვნება, როცა სტუმარს თავს აგრძნობინებ, როგორც საკუთარ სახლში.“



## ევროპის დღე

„ევროპული სკოლა“ ყოველწლიურად აღნიშნავს ევროპის დღეს და ავითარებს მოსწავლეებში საკუთარი და სხვათა კულტურების, ენის, ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემას.

ევროპის კვირეულის პროგრამა დაიწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენებით „მე და ევროპა“, რომელიც ახალგაზრდა ევროპელმა ელჩებმა წარუდგინეს მოსწავლეებს.

კვირეულის აქტივობები მოიცავდა წიგნების: „მოგზაურობა ევროკავშირში“ და „მომი გავიცნოთ ევროპა“ პრეზენტაციას, სახალისო ჯგუფურ თამაშებს, ქვიზებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ, ნაციონალური კოსტიუმების დემონსტრირებას. პატარებმა წერილებიც დაწერეს ევროკავშირში გასაგზავნად.

ევროპის კვირეულის ღონისძიებები დასრულდა ევროპარლამენტის ინტერკულტურული განყოფილების ხელმძღვანელის რომან შტრასეს ვიზიტით. მოსწავლეებმა სტუმართან ერთად იმსჯელეს საქართველო-ევროპის ურთიერთობაზე და საერთო ღირებულებებზე.

ევროპის კვირეულის ფარგლებში „ევროპულმა სკოლამ“ კიდევ ერთხელ უმასპინძლა მნიშვნელოვან სტუმრებს, დებატებს, ინტერაქციულ პრეზენტაციებს, და ხაზი გაუსვა სკოლაში არსებულ კულტურულ მრავალფეროვნებას.





### დამოუკიდებლობის დღე

ევროპულმა სკოლამ“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე პატრიოტული მუხტით და ენთუზიაზმით აღნიშნა. ამ დღეს სიამაყის გრძნობა და ბედნიერი გამომეტყველება ყველას, დიდის თუ პატარის, მასწავლებლის თუ მოსწავლის, სახეზე შეიმჩნეოდა.

დღე მოსწავლეთა საზეიმო მსვლელობით, დროშების ჩამოტარებით დაიწყო, რასაც მოჰყვა ეროვნულ სამოსში გამოწყობილი პატარების გამოჩენა წითელ ხალიჩაზე. საქართველოს ძველი და თანამედროვე დროშების აღმართვის ცერემონიის შემდეგ ზეიმი სკოლის დარბაზში გაგრძელდა, სადაც მოსწავლეებს ისტორიის მასწავლებელმა მაია წენგუაშვილი მიმართა



ამაღელვებელი, პატრიოტული განწყობით. მოსწავლეებმა პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნულ გმირებს, რომელთა ფოტოებიც მაისურებზე გამოისახეს. მათ ულამაზესი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებიც შეასრულეს. დასასრულს ისტორიკოსმა ირაკლი ირემამემ დამსწრე საზოგადოებას ჩაუტარა საუბარი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ. ეს დღე იყო თავისუფლების, სიამაყის და ღირსების ზეიმი.

### მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია

26 მაისიდან 3 ივნისამდე „ევროპულ სკოლაში“ ყოველწლიური მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. მოსწავლეებმა საკუთარი კვლევები ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ინოვაციური ტექნოლოგიების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ხელოვნების მიმართულებით არჩეულ თემებზე წარმოადგინეს.

კონფერენციებზე მოსწავლეთა კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის მიმართ დიდი ინტერესი და დამსწრეთა აქტიური ჩართულობა გამოვლინდა. სულ მალე კონფერენციებზე წარმოდგენილი კვლევები სკოლის ალმანახში გამოქვეყნდება.





## დედა ენის დღე

„ევროპულ სკოლაში“ 14 აპრილს განსაკუთრებულად აღინიშნა დედა ენის დღე. დედა ენისა, რომელიც ქართველი ერის დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობისა და ცნობიერების საწყისია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ორი ხელნაწერის ნიმუში (ბექთაბეგისეული და წერეთლისეული ნუსხები) და ფოტო ფრაგმენტები ძველი ქართული ხელნაწერებიდან;

გაიმართა ვიდეო ინსტალაცია ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის შესახებ;

MYP პროგრამის მე-7 კლასის მოსწავლეებმა კალიგრაფიულად გადაწერეს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები და წარმოადგინეს პრეზენტაციები „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობისა და თარგმანების შესახებ;

დაწყებითი კლასის მოსწავლეები შეხვდნენ კალიგრაფ მარიამ ტეფნაძეს, დაესწრნენ მასტერკლასს და გაიცნეს ქართული კალიგრაფიის ხელოვნება. გამოფინეს მასტერკლასის დროს შექმნილი ნახატები, ჩაატარეს ვიქტორინა და უმცროსკლასელებს გააცნეს ქართული დამწერლობის ნაირსახეობები: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობა;

AHS-ის მე-9 კლასელებმა სამახსოვრო ბარათები დაამზადეს, რომლებზეც ასახეს სწორად მეტყველების ნორმები და თანატოლებს დაურიგეს;

მე-5-7 კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები: სახელმწიფო სიმბოლიკის მნიშვნელობა და ჰიმნი, როგორც ერის იდენტობის სიმბოლო, ქართული ჰიმნის ისტორია და სხვ.



## ყვავილები, ყვავილები, ყველგან ყვავილები!!!

ყვავილებით მოჩითულ, ფერად-ფერად კაბებში გამოწყობილმა, გვირგვინებით მორთულმა პატარებმა გაალამაზეს „ევროპული სკოლის“ ყვავილების ფესტივალი, რომელმაც სკოლის უმშვენიერეს ბაღში უმასპინძლა გამოფენებს, ვორქშოფებს, მოსწავლეთა კონცერტს. ყვავილების ფესტივალი მოსწავლეთა შემოქმედებითობის ნამდვილი ზეიმი იყო.





## პროექტების გამოფენა

„ევროპული სკოლის“ ქართული პროგრამის მე-11 კლასის მოსწავლეებმა სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოადგინეს მათ მიერ მომზადებული პროექტების გამოფენა-პრეზენტაცია. პროექტის ამ ფორმატით მომზადება ეფუძნება პროექტული სწავლების საერთაშორისო გამოცდილებას, რაც პირველად იყო გაზიარებული ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. პროექტის მიზანია მოსწავლეთა პერსონალური უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა. ღონისძიება ჰიბრიდულ ფორმატში ჩატარდა. მოსწავლეებმა საინტერესო გამოცდილება გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას.



პროექტების თემატიკა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ჰეროიზმი პათეტიკიდან რეალობამდე; გრაფიკული ხატვა; ჰიდროპონიკური სისტემა „ნერო“; როგორ იქმნება იდეალური გმირი? განსხვავებული იყო პროექტების მიზნებიც: ახალგაზრდებში ინტერესის გაღვივება უნიკალური ქართული კულტურისა და ტრადიციების მიმართ; ნახატის შექმნა ვირტუალურად კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით; ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაანალიზება და სხვ. თვალსაჩინოებისთვის მოსწავლეებმა გამოფინეს პერსონალური პროექტის ფარგლებში შექმნილი სამოსი, გრაფიკული ნახატები, ფოტოკოლაჟები, კერამიკული ჭურჭელი, პანო და მოაწყვეს ტკბილეულის დეგუსტაცია.

## „ევროპული სკოლის“ საშაბათო სკოლა

„ევროპულ სკოლაში“ დაწყებითი და საბაზო საფეხურის I-VI კლასის მოსწავლეებისთვის წარმატებით დაინერგა საშაბათო აკადემიური პროგრამა, რომელიც ორ კურსს აერთიანებს: მენტალური მათემატიკა და მათემატიკა და ლოგიკა.

მათემატიკა და ლოგიკის კურსზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან საინტერესო მათემატიკურ თამაშებსა და აქტივობებში. მოსწავლეები ინტენსიურად ამუშავებენ მათემატიკის საინტერესო ამოცანებსა და განტოლებებს და მნიშვნელოვნად იღრმავებენ მათემატიკურ ცოდნასა და უნარებს.

მენტალური მათემატიკის პროგრამა წარმოადგენს არითმეტიკული მოქმედებების შესრულებაზე დაფუძნებულ გონებრივი განვითარების მეცნიერულ მეთოდს. მისი თითოეული სავარჯიშოს შესრულება კი მოითხოვს ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას, რამდენიმე უნარის ერთდროულად გამოყენებას, რაც თავისთავად განაპირობებს თავის ტვინის ორივე ჰემისფეროს თანაბარ, სინქრონულ განვითარებას. „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები არითმეტიკული გამოთვლებისთვის სპეციალურ საანგარიშო ინსტრუმენტ აბაკუსს იყენებენ.





## PYP მეორე კლასის მოსწავლეები მეგობრობის ახალი გზების კვალდაკვალ

თანამშრომლობა წარმატების საწინდარია PYP პროგრამის მოსწავლეებში. დამრიგებელმა სალომე ბეჭვაიამ მეორე კლასის მოსწავლეები ნოიდას(ინდოეთი)Pathways School -ის მოსწავლეებს დააკავშირა. ონლაინ შეხვედრა 2022 წლის 21 იანვარს შედგა. მას ელიზაბეტ სტინბერგი უძღვებოდა “ევროპული სკოლის” მხრიდან. Pathways School -იდან შეხვედრას ხელმძღვანელობდა მეორე კლასის ცხრა პარალელური ჯგუფის ასამდე მოსწავლის კოორდინატორი ზარემა დაუსონი.

შეხვედრისას თითოეულმა მხარემ სკოლის მოკლე პრეზენტაცია წარადგინა. ბავშვებმა შეიტყვეს, თუ სად მდებარეობს თითოეული სკოლა, ქალაქი და ქვეყანა მსოფლიო რუქაზე. “ევროპული სკოლის” მოსწავლეებს და მასწავლებლებს ეხურათ გვირგვინები საკუთარი ქვეყნის დროშების გამოსახულებით, რაც ძალიან სასიამოვნო დეტალი აღმოჩნდა Pathways School -ის მოსწავლეებისთვის. “ევროპული სკოლის” მოსწავლეები მშობლიურ ენებზე მიესალმნენ ინდოეთის სკოლის წარმომადგენლებს.

წარმოშობით ყაზახ ზარემა დაუსონს ძალიან გაუხარდა, როცა ჩვენი ორი მოსწავლის გვირგვინზე ყაზახეთის დროშა შეიკნო.

Pathways School-ის მოსწავლეებმა დასვეს შეკითხვები განსხვავებული საგნების, საკვებისა და გაკვეთილების ხანგრძლივობის შესახებაც კი. ელიზაბეტ სტინბერგმა აღნიშნა, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო ენებში. ჩვენმა პატარებმა თანატოლებს აჩვენეს ქართული სახელმძღვანელოები, გააცნეს ქართული ასოები, მნიშვნელოვანი ფაქტები ჩვენი დამწერლობის შესახებ, მოასმენინეს ასო-ბგერების ჟღერადობაც.

შეხვედრა 40 წუთი გაგრძელდა მას 82 მოსწავლე დაესწრო ინდოეთიდან. შემდეგი შეხვედრა თებერვლის დასაწყისში ჩაინიშნა.

ჩვენმა მეორეკლასელებმა ახალი კულტურა გაიცნეს და საერთაშორისო ასპარეზზე მეგობრებიც შეიძინეს. ჩვენთვის პატივია ახალი გზების გაკვალვა, ახალი მეგობრების შექმნა, მათთან თანამშრომლობა და მჭიდრო კავშირების დამყარება სამომავლოდ.



## ხმამალა კითხვის დღე მეგობარ Pathways School-თან ერთად

ხმამალა კითხვის დღეს ინდოეთის Pathways School-ის კოორდინატორმა ზარემა დაუსონმა ნოიდას და “ევროპული სკოლის” მოსწავლეებს წაუკითხა ჯილ ტვისის წიგნი The Someone New. კითხვის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა უპასუხეს შეკითხვებს, იმსჯელეს შიშებზე, რამდენად მნიშვნელოვანია შეშინებული ადამიანის მხარდაჭერა და მის მიმართ სიკეთის გამოვლენა. “ევროპული სკოლის” მეორეკლასელებმა, ჩვეული ქართული გულუხვობით, ინდოელ თანატოლებს გასაფერადებლად და გასავრცელებლად უსახსოვრეს პოსტერები სიკეთის მესიჯებით. თავადაც გააფერადეს და გაუზიარეს მსგავსი პოსტერები PYP პროგრამის მოსწავლეებს და მასწავლებლებს.





### მთავრობა და მისი ფუნქციები

2022 წლის 6 აპრილს “ევროპული სკოლის” PYP პროგრამის მე-5 კლასის მოსწავლეები შეხვდნენ ადვოკატ გია ფოლადაშვილს. თემის “როგორ მოვახდინოთ თვითორგანიზება” შესწავლისას დაგეგმილი შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეებს მეტი გაეგოთ მთავრობის, მისი როლისა და ფუნქციების შესახებ.

შეხვედრის ინიციატორი იყო PYP მე-5ა კლასის მოსწავლე ანა მჭედლიძე და სწორედ მან მოიწვია სტუმარი სკოლაში. სამი პარალელური კლასის მოსწავლეებმა შეკითხვები დაუსვეს იურისტს, დააზუსტეს ის დეტალები, რომლებითაც მთავრობის როლისა და ფუნქციების შესწავლისას დაინტერესდნენ. გიორგი ფოლადაშვილის შეფასებით, ეს შეხვედრა აქტიური, პროდუქტიული და ძალიან საინტერესო იყო.



### მოსწავლეთა მიერ წარმართული კონფერენცია

2022 წლის 8 აპრილს MYP პროგრამის მოსწავლეთა ხელმძღვანელობით მოეწყო კონფერენცია (SLC) მე-6-10 კლასებში. SLC -ის დანიშნულებაა, MYP პროგრამის მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, განივითარონ და წარმოაჩინონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია აქტიურ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის და უკეთესი, უფრო მშვიდობიანი სამყაროს შესაქმნელად.

კონფერენციისთვის მზადების დროს MYP-ის მოსწავლეებმა განივითარეს სწავლისადმი სწორი მიდგომები (ATL), IB მოსწავლის პროფილის მახასიათებლები, მაღალი პასუხისმგებლობა, რეფლექსიისა და მიზნის დასახვის უნარი აკადემიური და პიროვნული ზრდის უზრუნველსაყოფად.

MYP-ის მშობლები დიდი ინტერესით მონაწილეობდნენ მოსწავლეთა ხელმძღვანელობით წარმართულ კონფერენციაში. მოისმინეს რა საკუთარი შვილების რეფლექსია სწავლაზე, განვლილ მასალაზე, ამასთან ერთად გაიღრმავეს IB ფილოსოფიის, MYP სწავლა-სწავლების, შეფასების პრაქტიკის შესახებ ცოდნა.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მოსწავლეების მიღწევებით და მშობლების აქტიური თანამშრომლობით ამ





### ციფრული დიზაინის პროექტი

ციფრული დიზაინისა და რობოტიკის გაკვეთილებზე FabLab-ში MYP პროგრამის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა საგანმანათლებლო, ეკოლოგიურად სუფთა მასალით დამზადებული სათამაშოები „ევროპული ბაღის“ აღსაზრდელებისთვის. პროექტი 2 თვის მანძილზე მიმდინარეობდა. მოსწავლეებმა ბევრი რამ შეისწავლეს სათამაშოების დიზაინის კუთხით, გაითვალისწინეს პატარების ასაკობრივი თავისებურებები, შექმნეს ციფრული პროტოტიპები და საბოლოო დიზაინი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხის 35 საგანმანათლებლო




რესურსი შეიქმნა. ფაზლის ტიპის სათამაშოები MYP პროგრამის მე-7 კლასის მოსწავლეებმა ბაღის აღსაზრდელებს გადასცეს.

პროექტის ავტორი და ტექნიკური ასისტენტები:

ციფრული ტრანსფორმაციის მრჩეველი და დიზაინის მასწავლებელი - ნინა ბიჭვინაშვილი, რობოტიკის და კომპიუტერული მეცნიერების მასწავლებელი - შოთა დათაშვილი, დიზაინისა და რობოტიკის მასწავლებელი - გურანდა გოგალაძე.

### მშობლიური ენის საერთაშორისო დღე

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნება და მიზნად ისახავს კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. როგორც საერთაშორისო ბაკალავრიატის მსოფლიო სკოლა, „ევროპული სკოლა“ ეხმარება მოსწავლეებს მშობლიური ენის შენარჩუნებაში MYP პროგრამის კურიკულუმისა თუ ენების პოლიტიკის დონეზე. „ევროპულ სკოლას“, რომელიც გამორჩეულია მდიდარი კულტურული მრავალფეროვნებით, ოც სხვადასხვა მშობლიურ ენაზე მოსაუბრე მოსწავლეები ჰყავს MYP-ში.



2022 წლის 21 თებერვალს MYP-იმ გამართა ასამბლეა, სადაც მოსწავლეებმა წარადგინეს მშობლიური ენები და გვაჩვენეს, თუ როგორ აკავშირებს ენა ადამიანებს. თებერვლის დასაწყისიდანვე დაიწყეს მოზარდებმა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და საზოგადოებებს შორის კავშირების გააზრება შემდგომი აქტივობებით:

- მთელი მსოფლიო ერთ პოსტერზე (MYP მოსწავლეების მშობლიური ენებიდან აღებული სიტყვების გამოყენებით);
- გემრიელი კერძების რეცეპტები (მთელი მსოფლიოდან);
- განსხვავებულ კულტურათა ლიტერატურის გაზიარება (მათ შორის პოეზია, მუსიკა და ა.შ.);
- ელექტრონული თავსატეხების კონკურსი (ქართველ მოსწავლეებს შორის);
- მრავალენოვანი ახალი ამბების გაშუქება;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია (ჩვენი მრავალენოვანი მოსწავლეების მონაწილეობით);
- მოწვეულ სტუმართან შეხვედრა (კითხვა-პასუხის ფორმატში);

ასამბლეის მსვლელობისას მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ესაუბრათ ერთზე მეტ ენაზე, ახლებურად გადმოეცათ ნაცნობი გზავნილის შინაარსი და

განევიტარებინათ ურთიერთობა ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის შენარჩუნების პარალელურად.

ასამბლეის ორგანიზატორი და ჯგუფის წევრები:

SA კოორდინატორი - ქეთი გურამიშვილი  
 მე-6 კლასის LA (ინგლისური) მოსწავლეები



### ფესტივალი Feria de Abril

Feria de Abril სევილიის ყველაზე პოპულარული ფესტივალია. იგი გაზაფხულზე, ძირითადად აპრილის თვეში იმართება. ამ დღესასწაულზე ქალები ფლამენკოს ულამაზეს კაბებს იცმევენ, ცხენებზე ამხედრებული მამაკაცები ლურჯ უნიფორმებში არიან გამოწყობილნი, სტუმრები აგემოვნებენ ანდალუსიურ კერძებს, ქალაქის ყველა კუთხეში კი ისმის ფლამენკოს მუსიკა.

„ევროპული სკოლის“ ესპანური ენის მასწავლებელმა თამარ გულიაშვილმა და ესპანურ ენაზე მოსაუბრე მოსწავლეებმა 26 აპრილს იზეიმეს Feria de Abril სკოლაში და უმასპინძლეს ოფიციალურ სტუმრებს: ესპანეთის კონსულის მოვალეობის შემსრულებელს საქართველოში ხორხე ლუსინის და ესპანური სათვისტომოს ხელმძღვანელს და წარმომადგენელს საქართველოში ადრიან ლოპესს.

მოსწავლეებმა Feria de Abril ფესტივალის შესახებ პრეზენტაციები მოამზადეს, შეასრულეს ესპანური და ქართული ცეკვები და სიმღერები. ახალგაზრდა ესპანელმა მომღერალმა და კომპოზიტორმა როდრიგო მუნიოსმა, რომელიც ონლიან ჩაერთო ღონისძიებაში, სხვა ხიბლი შესძინა დღესასწაულს.



### IB DP მოსწავლეების ხელოვნების ნიმუშების გამოფენა

„ევროპულ სკოლაში“ გაიმართა საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის სახვითი ხელოვნების ჯგუფის მოსწავლეთა გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ორი სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი ნამუშევრები, სადაც აისახა ის თემები, რაც აინტერესებთ და აწუხებთ ახალგაზრდებს. ამ თემების ფართო არეალი მოიცავდა მრავალ პრობლემას: დისკრიმინაცია, ჰომოფობია, სექსიზმი, ქსენოფობია, მარტოობა, შიშები, გარემოს დაბინძურება, ეგზისტენციალური კრიზისი, იზოლაცია და ა.შ.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები, გარდა თემატური მრავალფეროვნებისა, გამოყენებული მედიის მრავალგვარობითაც ხასიათდებოდა. ერთმანეთის გვერდიგვერდ წარმოდგენილი იყო ფერწერული ტილოები, ციფრული მედიის ნიმუშები, ფოტოები, ვიდეო არტი, არქიტექტურული მოდელები, კოლაჟი თუ ქანდაკება. გამოფენა განვლილი სასწავლო პროგრამის პრაქტიკულ კულმინაციად და მხატვრულ-ვიზუალურ განაცხადად იქცა, სადაც აისახა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება და მხატვრული ოსტატობა. გამოფენამ აჩვენა, რომ მოსწავლეები მზად არიან ცხოვრების ფართო გზაზე გასასვლელად და ცოდნის ახალი მწვერვალებს დასაპყრობად.








## შეხვედრა CCAAIBWS ასოციაციის წევრი სკოლების მოსწავლეებს შორის

კავკასიისა და ცენტრალური აზიის IB მსოფლიო სკოლების ასოციაციის წევრი სკოლების (ევროპული სკოლა, აზერბაიჯანის ევროპული სკოლა, ნაზარბაევის ინტელექტუალური სკოლები) CAS კოორდინატორებმა გაუკეთეს ორგანიზება სადიპლომო პროგრამის მოსწავლეთა შეხვედრას. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელმა მოსწავლეებმა გაუზიარეს ერთმანეთს გამოცდილება სოციალური და აკადემიური ცხოვრების დაბალანსების კუთხით და განიხილეს ერთობლივი CAS პროექტების იდეები. გამოცდილების გაზიარება და ახალი უნარების განვითარება პიროვნული ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. მოსწავლეების პიროვნული ზრდის ხელშეწყობა კი IB-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სოციალური პასუხისმგებლობის პრომოციას. ასოციაციის წევრი სკოლების CAS კოორდინატორები შეთანხმდნენ, რომ მსგავს შეხვედრებს ტრადიციულ სახეს მისცემენ.



## IB DP მოსწავლეთა CAS პროექტების პრეზენტაცია

25 მაისს სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებმა CAS პროექტების პრეზენტაციით დაასრულეს აკადემიური წელი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში მათ მოახდინეს სოციალური პასუხისმგებლობის, გლობალური მსოფლმხედველობის დემონსტრირება და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს პიროვნული განვითარების გზაზე. მოსწავლეებმა შეძლეს, დაეგეგმათ და განეხორციელებინათ პროექტები რთული აკადემიური გამოწვევების მიუხედავად. მსოფლიოში არსებული ვეგეტარიანული რესტორნების ვებპლატფორმის შექმნა, ჟესტური ენის შესწავლა, ხელნაკეთი ნივთების ონლაინ მაღაზიის შექმნა და შემოსული თანხის ქველმოქმედებისთვის გამოყენება, სახლის სათბურის გაშენება, კომპანიისთვის ღვინის ბოთლის ეტიკეტების შექმნა, მასწავლებლობის გამოცდილების შექმნა, გარემოს დასუფთავება, ერაყული სამზარეულოს რეცეპტების წიგნის, ინტერაქტიული სამაგიდო თამაშის შექმნა - ეს ყველაფერი მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტების მცირე ჩამონათვალია.





## ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-12 კლასელების მიღწევები


ავტორი: მეგი ხუროძე

ამერიკული უმაღლესი სკოლის 26-მა მე-12 კლასელმა 2022 წლის 20 მაისს წარმატებით დაამთავრა “ევროპული სკოლა”. მათთვის სკოლის ბოლო ზარი ემოციური აღმოჩნდა. ისინი ხომ იმ ადგილს დაემშვიდობნენ, სადაც 12 წელი სწავლობდნენ და ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურიდან მეორე მნიშვნელოვან საფეხურზე გადავიდნენ. ისინი ჩაირიცხნენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, სადაც გააგრძელებენ სწავლას ნათელი და წარმატებული მომავლისთვის. ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები მარიამ ნატროშვილი და ნიკი ბეჟუაშვილი ჩაირიცხნენ პენსილვანიისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. ახალ გარემოში სწავლის გაგრძელება ახალი გამოწვევა იქნება მათთვის. რამდენიმე კითხვა დაფუსვი, რომ გავიგოთ რას გრძობენ სკოლის დამთავრების შემდეგ და რას ურჩევენ მოსწავლეებს, რომლებსაც ასევე სურთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელება.

როგორი შეგრძნებაა, როცა ცხოვრების ეს ეტაპი დაასრულეთ და ახალ, მნიშვნელოვან ეტაპზე გადადიხართ?

მარიამ ნატროშვილი: ეს ბოლო წლები მთავარ მიზნად დავისახე, რომ მოვხვედრილიყავი ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში და ძალიან მიხარია, რომ ამ დიდ მიზანს მივაღწიე. ჩაირიცხვისთანავე კი ეს მიზანი დიდ გამომწვევად გადაიქცა ჩემთვის. თორმეტი წელია ასე თუ ისე ერთი და იგივე სიტუაციაში ვარ მსგავს პირობებში. სკოლას ძალიან მივეჩვიე და ასეთ ახალ ეტაპზე გადასვლა ჩემთვის განსხვავებული ემოციებით არის სავსე.

ნიკი ბეჟუაშვილი: ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ეტაპის წარმატებით დასრულება. მან დამანახა, რომ ცხოვრებაში შრომით ბევრ რამეს შეგიძლია მიაღწიო. ამაყი ვარ, რომ უმეტესი სურვილები, რომელიც ჩაფიქრებული მქონდა, განვახორციელე. ცხოვრების ახალ ეტაპს ვიწყებ და მზად ვარ ახალი სირთულეების წარმატებით გადასალახად.



რას ფიქრობთ იმ ცვლილებებზე და შესაძლებლობებზე, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ გელით?

მარიამ ნატროშვილი: ჩემი აზრით, სკოლის დამთავრების და უნივერსიტეტის დაწყების ეტაპი ბევრი ცვლილების მომცველია. უპირველეს ყოვლისა, იცვლება გარემო, ადამიანს ამ ეტაპზე უძლიერდება პასუხისმგებლობის გრძნობა და იწყება პერიოდი ცხოვრებაში, რომელიც

თავგადასავლებითა და შესაძლებლობებით არის სავსე. მე ეს ცვლილებები და შესაძლებლობები აუცილებელ პირობად მიმაჩნია თითოეული მოსწავლის განვითარებისთვის.

ნიკი ბეჟუაშვილი: იმედი მაქვს, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლა დამეხმარება საერთაშორისო კავშირების და შესაძლებლობების გაფართოებაში. მედიის პლატფორმებზე უკვე გავიცანი კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტები. ყველანაირად ვეცდები, რომ ცვლილებები შესაძლებლობებად ვაქციო.

რა შესაძლებლობები მოგვცა “ევროპულმა სკოლამ”, რაც სხვა ზავშვებსაც გამოადგებათ მომავალში?

მარიამ ნატროშვილი: აპლიკაციების პროცესი ყველა, ვისაც გამოცდილი აქვს, დამეთანხმება, რომ არის ერთ-ერთი ურთულესი პროცესი. მოითხოვს დიდ გამძლეობას და ბევრ ენერგიას, მაგრამ პირადად ჩემთვის ჩემმა სკოლამ ეს პროცესი ბევრად გაადვილა. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, გაძლევს ისეთ ცოდნას, შემოაქვს ახალი საგნები, რომელიც გეხმარება აირჩიო კარიერა. ამასთანავე “ევროპული სკოლა” გაძლევს დიდ შანსს, რომ მიიღო მონაწილეობა ბევრ კლასსგარეშე აქტივობაში და შეავსო ეს სია, რომელზეც ყურადღებას უნივერსიტეტებში მოსწავლეების ამრჩევი ჯგუფები დიდად ამახვილებენ. სკოლაში ხშირად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, რაზეც მე პირადი გამოცდილებიდან



შემიძლია ვთქვა, რომ დიდი სარგებელი მოაქვთ მოსწავლეებისთვის და ძალიან ეხმარებათ აპლიკაციების განხილვის დროს.

ნიკი ბეჟუაშვილი: გამოვიმუშავე დისციპლინა, უამრავი ტესტის და საუნივერსიტეტო მზადების პროცესში დავხვეწე დროის მართვის უნარი, სკოლის მულტიკულტურული გარემო დამეხმარა მასშტაბური აზროვნების განვითარებაში. “ევროპულ სკოლაში” შევეჩვიე დამოუკიდებლად მუშაობას და ყურადღების მობილიზებას. თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება არ შეუშინდეს გამოწვევებს, მეთოდურად იმუშაოს და დაისახოს მიზნები აკადემიური და კლასგარეშე მიღწევების მოსაპოვებლად.


რა არის თქვენი საყვარელი მოგონება “ევროპულ სკოლასთან” დაკავშირებით?

მარიამ ნატროშვილი: სკოლის თითოეული წამი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველი მოგონება ეხება ჩემს ზრდას და დიდ სიხარულს. უამრავი მოგონებიდან ვერ გამოვარჩევ განსაკუთრებით საყვარელს, მაგრამ ყველა დიდი ემოციებით არის დატვირთული.

ნიკი ბეჟუაშვილი: უპირველესი, რაც მახსენდება, არის კომუნიკაცია მოსწავლეებთან და მოსწავლეებთან. მივიჩნევ, რომ გამიმართლა ორივე მიმართულებით და ეს ურთიერთობებზე და სწავლის ხარისხზე პირდაპირპროპორციულად აისახა. მომენატრება ერთი მარტივი შეგრძნება - მე სკოლაში ყოველთვის ადრე მივდიოდი; გაკვეთილის დაწყებამდე ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეებთან და კლასელებთან კონტაქტი, რომელიც მთელი დღის სამყოფ მოტივაციას და ენერჯიას მაძლევდა. სკოლაში როდესაც სწავლობ, ზოგჯერ ვერც ხვდები პატარა დეტალები რამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლის ყველა მოგონება ძვირფასი ხდება როდესაც ამთავრებ.

რამ განაპირობა თქვენი არჩევანი, რომ ჩაგებარებინათ ამ უნივერსიტეტებში?

მარიამ ნატროშვილი: პირადად ჩემთვის, უნივერსიტეტის ასარჩევად აუცილებელი ნაბიჯი იყო გამერკვია, თუ რა მიმართულებით მინდოდა სწავლის გაგრძელება. ჩემს შემთხვევაში სასურველი პროფესია ეკონომიკაა, კერძოდ, ფინანსების განხრით მინდა სწავლის გაგრძელება. ამ პროფესიიდან გამომდინარე ჩემი მიზანი იყო, რომ მეპოვა ისეთი



სასწავლებელი, სადაც საუკეთესო ხარისხის განათლებას მივიღებდი ჩემს არჩეულ პროფესიაში. ასეთი სასწავლებელი კი, ზუსტად რომ, პენსილვანიის უნივერსიტეტია.

ნიკი ბეჟუაშვილი: უნივერსიტეტის რეიტინგმა, ქალაქში ინტეგრირებულმა კამპუსმა (ნიუ-იორკში) და ჩემი ძმის ფაქტორმა (რომელიც ასევე კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობს) გადაწონა ყველა სხვა შემოთავაზება და მივიღე გადაწყვეტილება კოლუმბიის უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა.

რას ურჩევდით თქვენზე უმცროს მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ, რომ ჩაირიცხონ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში?

მარიამ ნატროშვილი: ჩემი აზრით, იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ასეთი დიდი ოცნებები აქვთ, უკვე დიდი ნაბიჯი აქვთ წარმატებისკენ გადადგმული. რაც უფრო დიდი მიზნებისკენ ილტვის ადამიანი, მით უფრო წინ მიიწევს ის. ამიტომ, რასაც ვურჩევდი ჩემს თანატოლებს არის ის, რომ არასდროს არ დანებდნენ და არ დათმონ ეს ოცნებები. რაღაც არ გამოდის? არაუშავს! თავიდან დაწყება ყოველთვის შეიძლება. მიზნის მიღწევის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს ზრდის. მიაღწევს ის ამ მიზანს თუ არა, ის ამ ყველაფრის ბოლოს უფრო მეტად ჩამოყალიბებული ხდება და უფრო მეტს სწავლობს. ამიტომ არ დაზოგოთ ენერჯია და დრო, არ დაკარგოთ საკუთარ თავში რწმენა, და რაც მთავარია არ დაყაროთ ფარ-ხმალი.



ნიკი ბეჟუაშვილი: აუცილებლად იზრუნეთ აკადემიური მაჩვენებლების ამალეებაზე: მაღალი GPA სკოლაში, რთული საგნების აღება, სტანდარტიზებული ტესტის მაღალი ქულები (თუ ტესტს აბარებთ) - ამ ყველაფრის გარეშე შანსები საკმაოდ მცირეა. ასევე იფიქრეთ სწავლის გარდა რაში ავლენთ ნიჭს, მიდრეკილებებს, რა აქტივობაში ჩანს თქვენი პიროვნული სიძლიერე; განივითარეთ წერის უნარები და მუდმივად ეძებეთ ინფორმაცია უნივერსიტეტების საიტებზე და სოციალურ მედიაში. როცა უპასუხო კითხვა გაქვთ, აუცილებლად ენდეთ პროფესიონალის ან გამოცდილი ადამიანის აზრს. იმუშავეთ იმაზე, რაც კარგად გამოგდით და გიყვართ, რომ შემდეგ ესეებში და ინტერვიუზე ბუნებრივად და თავდაჯერებულად წარმოაჩინოთ თქვენი ძლიერი მხარეები.

მადლობას ვუხდით მარიამ ნატროშვილსა და ნიკი ბეჟუაშვილს, რომ რჩევები, აზრები და ემოციები გაგვიზიარეს და დიდ წარმატებას ვუსურვებთ მომავალში. ასევე წარმატებას ვუსურვებთ ამერიკული უმაღლესი სკოლის სხვა კურსდამთავრებულებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში განაგრძობენ სწავლის მიღებას.

### კლასიკის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ეკატერინე გორგაძე

ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ეკატერინე გორგაძე Lytham St Annes Classical Association-ის კლასიკის კონკურსი 2022-ის გამარჯვებული გახდა. Lytham St Annes Classical Association გაერთიანებული სამეფოს კლასიკის ასოციაციის უდიდესი წევრია. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეები იყვნენ მთელი მსოფლიოდან, ეკატერინეს გამორჩეულმა ნამუშევარმა ნეოპტოლემუსის შესახებ მოიპოვა პირველი ადგილი და ამერიკული უმაღლესი სკოლა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ასახელა.

ეკატერინეს ამ კონკურსში მიღებული გამოცდილების შესახებ რამდენიმე შეკითხვა დავუსვით. კითხვაზე, თუ რატომ აირჩია ამ კონკურსში მონაწილეობა, მან განაცხადა, რომ მას მონაწილეობა ამ კონკურსში გასულ წელსაც ჰქონდა მიღებული, მაგრამ მაშინ ვერ მიაღწია თავის მიზნებს. ამ წარუმატებლობამ იგი კი არ შეაშინა, არამედ ახალი მცდელობისაკენ უბიძგა.

ამ გამოწვევას ეკატერინემ მეტი მონდომებით და, როგორც მან აღნიშნა, „ძლიერად“ გაართვა თავი. ის ამბობს, რომ არ ადარებდა საკუთარ თავს სხვებს და ამტკიცებს, რომ " მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად უკეთესი ხარ დღეს, ვიდრე გუშინ იყავი". შეკითხვაზე, თუ რით იყო მისი ნამუშევარი განსხვავებული, მან უბრალოდ განაცხადა, რომ სცადა ნეოპტოლემუსის წარმოდგენა და აღქმა სხვა პერსპექტივიდან. მისი ხედვა, რომ ნეოპტოლემოსი „დაუფასებელი“ იყო, მსაჯებისთვის საინტერესო აღმოჩნდა. ეკატერინე მოსწავლეებს ურჩევს, რომ ამ კონკურსში მხოლოდ მაშინ მიიღონ მონაწილეობა, თუ ეს მათი ინტერესებიდან გამომდინარე სურვილია. ის მოუწოდებს თანატოლებს, რომ საკითხებს „შეხედონ განსხვავებული თვალთ და აირჩიონ თემა, რითაც ნამდვილად გატაცებულნი არიან“, რადგან „ერთგანზომილებიანი და ანალიტიკური“ ტონით წერა არ არის სწორი მიდგომა მსგავსი აქტივობების მიმართ.

როდესაც კონკურსანტს ვკითხეთ, თუ ყველაზე მეტად რა გაუჭირდა, მან გვიპასუხა, რომ საკუთარი სტანდარტების და შესაძლებლობების გაძლიერება ყველაზე რთული ნაწილი იყო. ეკატერინეს კონკურსში არა მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება ამოძრავებდა, არამედ მიზნად ჰქონდა ჩვენი სკოლის საუკეთესოდ წარმოჩენა. ჩვენი სკოლის შესახებ ის აცხადებს, რომ "ეს გამარჯვება ისევეა სკოლის, როგორც ჩემი".

ეკატერინე გორგაძემ არა მხოლოდ გაიმარჯვა კლასიკის საერთაშორისო კონკურსში, არამედ ამ პროცესში გამოიჩინა უდიდესი გამძლეობა და პატივისცემა დაიმსახურა. მან მონაწილეობა მიიღო არა ზედაპირული მიზეზების გამო, არამედ ხასიათის განსამტკიცებლად და საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რომ შეეძლო ყველაფრის გაკეთება,

რაც ჩაფიქრებული ჰქონდა. ამ პროცესში მის გონებაში მუდმივად იყო მშობლიური სკოლა.





## საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და მსოფლიო“

2022 წლის 26 მაისს ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ ჩაატარა მოსწავლეთა და მასწავლებელთა საერთაშორისო ინტერდისციპლინური ონლაინ კონფერენცია „საქართველო და მსოფლიო“. კონფერენციის მიზანი იყო საქართველოსა და მსოფლიოს შორის არსებული კულტურული, ისტორიული და სოციალური ურთიერთობების შესახებ ახალი კვლევების თავმოყრა და საზოგადოებისთვის გაცნობა.

კონფერენცია ჩატარდა Cognia-სთან (International Education Services, USA) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რამაც ხელი შეუწყო თანამშრომლობის გაძლიერებას სკოლასა და უნივერსიტეტს შორის და დაეხმარა მოსწავლეებს კვლევითი უნარების განვითარებაში.

კონფერენციის გახსნისას საზოგადოებას მიესალმა „ევროპული სკოლის“ დირექტორი სოფიო ბაზაძე და ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი ირმა ბარბაქაძე. კონფერენციის გახსნის პლენარულ სესიაზე Cognia-ს გლობალური აკრედიტაციის მთავარმა ოფიცერმა ანეტე ბოლინგმა, გლობალური სტრატეგიისა და განვითარების უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა კემ ჰუსაინმა და გლობალურმა ელჩმა ლუდვიგ ვონ ბროექჰუიზენმა წარადგინეს მოხსენება თემაზე „მაღალი ხარისხის სტანდარტების გამოყენება მუდმივი განვითარებისთვის“. ამავე სესიაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მედეა აბულაშვილმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ჭყოიძემ წარადგინეს მოხსენება „ბერძნულ-ქართული ურთიერთობის ზოგიერთი ეპიზოდი“.

კონფერენციის ფარგლებში იმუშავმა სამმა სექციამ: ენის, ლიტერატურისა და მითოლოგიის; ისტორიის, რელიგიისა და კულტურის; პოლიტიკის, განათლებისა და მეცნიერების.

კონფერენციის დახურვის ცერემონიაზე კოგნიას საერთაშორისო განათლების სერვისების უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა მარია ოჯედამ და საერთაშორისო განათლების ვიცე-პრეზიდენტმა ტერეზა ატვამ წარადგინეს მოხსენება „მსოფლმხედველობის გაფართოება: საერთაშორისო განათლების მნიშვნელობა“.

კონფერენციის დასასრულს საზოგადოებას მიმართა ამერიკული უმაღლესი სკოლის დეკანმა ნათია თევზაძემ. როგორც მან აღნიშნა, საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება ამერიკული უმაღლესი სკოლის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

ეს კონფერენცია „ევროპული სკოლის“ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. მას როგორც მოსწავლეები, ასევე სხვადასხვა პროგრამისა და დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





## დედამიწის დღე

22 აპრილს დედამიწის დღეა. ევროპული ბაღის პატარებმაც აღნიშნეს ეს დღე. ისაუბრეს თუ როგორი მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს გარემოს, დედამიწას. სიამოვნებით დაამზადეს საინტერესო ნამუშევრები.



## საგანმანათლებლო სათამაშოები

ციფრული დიზაინისა და რობოტიკის გაკვეთილებზე FabLab-ში MYP პროგრამის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა საგანმანათლებლო, ეკოლოგიურად სუფთა მასალით დამზადებული სათამაშოები. სკოლის მოსწავლეებმა სიამოვნებით წარმოუდგინეს ევროპული ბაღის პატარებს თავიანთი სათამაშოები და საჩუქრად გადასცეს მათ.





### საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ავღნიშნეთ ევროპულ საბავშვო ბაღში. პატარებმა თავიანთი ხელით დაამზადეს საქართველოს დროშები, გააფერადეს საქართველოს რუკა და მოუსმინეს საქართველოს ჰიმნს. დასასრულს ბაღის ეზოში გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები.



### გამოსაშვები ღონისძიება

ბაღის გამოსაშვები ღონისძიება ყოველთვის ბედნიერი მომენტია პატარებისთვის, რომლებიც ბაღიდან სკოლაში გადასვლას ზეიმობენ.

წელს თეთრ სამოსში გამოწყობილმა პატარებმა ლამაზი სიმღერები, ცეკვები, ლექსები შესთავაზეს ღონისძიების დამსწრეებს. საზეიმო ცერემონიის დასასრულს ისინი სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. ეს ხალისიანი დღე დიდხანს ემახსოვრებათ არა მარტო პატარებს, არამედ მათ მშობლებს და მასწავლებლებსაც.

